

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მიმოხილვა

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესტიციო პროექტების სრული ციკლის დანერგვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფორმის ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის, მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის სრულყოფილად დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება პროექტების შერჩევის მექანიზმები და უზრუნველყოფილი იქნება ობიექტურ ანალიზზე დაფუძნებული პროექტების გათვალისწინება ბიუჯეტში. აღნიშნული კი თავის მხრივ გააუმჯობესებს საშუალოვადიან დაგეგმვას და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენებას.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით 2017 წლიდან შესაძლებლობების ფარგლებში, დონორების (WB, USAID, EU, GIZ და სხვა) მხარდაჭერით, უკვე ჩატარდა არაერთი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის და აქტიურად გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით. მიმდინარე წელს მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები საერთაშორისო პარტნიორების (WB, EU), ასევე სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით.

ბოლო წლებში მიღებული პრაქტიკიდან და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილებით დამტკიცდა განახლებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია. განახლებული მეთოდოლოგია ვრცელდება ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე (მათ შორის, 5 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტებზე) და პროექტის ღირებულების და სპეციფიკის მიხედვით მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებულია თუ რა სახის ინფორმაციის მომზადებაა საჭირო. კერძოდ: მეთოდოლოგიაში განისაზღვრა სამი კატეგორიის საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი:

- < მცირე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 5 მლნ ლარამდე ღირებულების საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტს.
- < საშუალო საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 5 მლნ ლარიდან 20 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტს.
- < მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების პროექტს.

მსხვილი ან ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შემთხვევაში საბოლოო შერჩევის ეტაპზე, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, პროექტის განხორციელების/არ განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი ეკონომიკური საბჭო.

მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის (E-PIM)

შექმნის მიმართულებით. ელექტრონული პორტალის სატესტო ვერსია შემუშავებულია და არანაკლებ 3 ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის წინასწარი შერჩევა და შეფასება განხორციელდა ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ევროკავშირის დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები უცხოელ ექსპერტებთან ელექტრონული საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის (ePIM) სატესტო ვერსიის განხილვის მიზნით, მათ შორის, სისტემის შემდგომი დახვეწის მიზნით უკუკავშირის მისაღებად მოწვეული იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროებიდან წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულები არიან საინვესტიციო პროექტების მომზადების პროცესში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრები საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის შემდგომ გაგრძელებასა და გაუმჯობესების გზების განსახილველად, მათ შორის, განხილული იყო ელექტრონული სისტემის ფუნქციონალი. მომზადდა შეფასების ანგარიში და რეკომენდაციები.

ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 23 ოქტომბრის №349 ბრძანებით განახლდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის N433 ბრძანებით დამტკიცებული „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესი“.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის დანერგვა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის კაპიტალური პროექტების დანართი

კაპიტალური პროექტების დანართის მომზადება საბიუჯეტო განაცხადის ნაწილია და ხორციელდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მოიცავს 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული, „კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებული“ პროგრამების და ქვე-პროგრამების ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის პროგრამული კოდი და პროექტის დასახელება;
- პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- პროექტის აღწერა და მიზანი;
- პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ;
- პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- კაპიტალური პროექტების დაფინანსების მოცულობები, კერძოდ, გასული წლის ჩათვლით პროექტის ფაქტიური ხარჯი, მიმდინარე წლის გეგმა, დაფინანსების მოცულობები

დასაგეგმი საშუალოვადიანი (4 წლიანი) პერიოდისთვის წლების მიხედვით და პროექტის მთლიანი ღირებულება.

საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მომზადებულია მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და მოიცავს 75 კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებულ პროექტს (პროგრამა/ქვე-პროგრამა) ჯამური მოცულობით 2025 წელს 4,2 მილიარდ ლარზე მეტია, ხოლო პროექტების მთლიანი ღირებულება 2028 წლის ჩათვლით 38.0 მილიარდ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტების მთლიანი ღირებულების 92 პროცენტზე მეტი მიმდინარე, უკვე დაწყებული პროექტებია, რომელიც ძირითადად ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, (ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა, შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით, ასევე საჯარო სკოლების რეაბილიტაციის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით.

კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტებიდან 11 პროექტი წარმოადგენს ახალ კაპიტალურ პროექტს (დეტალურად მოცემულია ცხრილში N1), საიდანაც 7 პროექტს გავლილი აქვს საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნები, 2 პროექტი შინაარსიდან გამომდინარე მიეკუთვნება რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციას (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (მოდრავი შემადგენლობის განახლება) (AIIB), ენერგოეფექტურობის ღონისძიებები და შენობების ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სტანდარტებთან მიახლოება (ბათუმის საბავშვო ბაღები) (KfW)), და მათზე არ ვრცელდება მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნები. რაც შეეხება თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის პროექტს 2025 წლის ბიუჯეტში და საშუალოვადიან პერიოდში გათვალისწინებულია მხოლოდ კვლევებისთვის საჭირო თანხები. ხოლო, სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერი ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში კონკრეტული პროექტებზე გადაწყვეტილების მიღება მოხდება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნების გავლის შემდგომ.

ახალი პროექტების დაფინანსების მოცულობამ, რომელსაც გავლილი აქვს PIM პროცედურები, ამ დანართში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების მოცულობის 7.4 პროცენტს შეადგენს 2025 წლისთვის, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში პროექტების ჯამური ღირებულების 5.4 პროცენტს.

ცხრილი N1

პროგრამული კოდი	დასახელება	საშუალოვადიანი პერიოდი			მათ შორის 2025 წლის პროექტი		
		სულ ჯამი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ დონორები	სულ ჯამი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ დონორები
24 06 05 01	დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობა	237 000.0	237 000.0	0.0	70 000.0	70 000.0	0.0

პროგრამული კოდი	დასახელება	საშუალოვადიანი პერიოდი			მათ შორის 2025 წლის პროექტი		
		სულ ჯამი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ დონორები	სულ ჯამი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ დონორები
24 06 05 02	თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა	340 000.0	340 000.0	0.0	20 000.0	20 000.0	0.0
24 06 05 04	თელავის აეროპორტის ახალი ინფრასტრუქტურა	5 000.0	5 000.0	0.0	5 000.0	5 000.0	0.0
24 23	ენერჯის დამაგრვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB)	355 000.0	0.0	355 000.0	5 000.0	0.0	5 000.0
25 02 03 10	თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)	542 662.8	96 662.8	446 000.0	120 000.0	20 000.0	100 000.0
25 02 03 11	ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB)	291 441.2	65 441.2	226 000.0	70 000.0	10 000.0	60 000.0
25 02 03 12	სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბათუმი(ჭოროხი)-სარფის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა (ADB)	620 000.0	185 000.0	435 000.0	35 000.0	35 000.0	0.0
25 08	სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი ღონისძიებები	1 700 000.0	1 700 000.0	0.0	200 000.0	200 000.0	0.0
57 14 09 02	თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი (მომრავი შემადგენლობის განახლება) (AIIB)	30 000.0	0.0	30 000.0	30 000.0	0.0	30 000.0
57 14 10	ენერგოეფექტურობის ღონისძიებები და შენობების ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სტანდარტებთან მიახლოება (ბათუმის საბავშვო ბაღები) (KfW)	5 000.0	0.0	5 000.0	5 000.0	0.0	5 000.0
57 14 12	მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში (KfW)	48 000.0	0.0	48 000.0	5 000.0	0.0	5 000.0
ახალი პროექტები ჯამი		4 174 104.0	2 629 104.0	1 545 000.0	565 000.0	360 000.0	205 000.0

პროგრამული კოდი	დასახელება	საშუალოვადიანი პერიოდი			მათ შორის 2025 წლის პროექტი		
		სულ ჯამი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ დონორები	სულ ჯამი	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ დონორები
	ახალი პროექტების ჯამი, რომელსაც გავლილი აქვს PIM პროცედურები	2 099 104.0	589 104.0	1 510 000.0	310 000.0	140 000.0	170 000.0
	სულ კაპიტალური პროექტების დანართით წარმოდგენილი პროექტების ჯამი	38 686 825.2			4 184 868.0		
	ახალი პროექტების (რომელსაც გავლილი აქვს PIM პროცედურები) პროცენტული მაჩვენებელი ჯამურ მაჩვენებელთან	5.4%			7.4%		

2024 წლის განმავლობაში განხილული/შეფასებული ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოკლე შემჯამებელ ინფორმაციას ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტთან მიმართებაში, მათ შორის ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, IRR, ENPV, EIRR). დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომელიც მოიცავს თითოეული პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზს, მათ შორის დაშვებებს და მათგან გამომდინარე კალკულაციებს, პროექტის შექმნის, შენახვისა და ოპერირების ხარჯებს პროექტის სრული ციკლის მანძილზე (ანალიზის პერიოდი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით), შემოსავლების პროგნოზებს და მათ ალტერნატივებს.

პროექტების ნაწილისათვის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია მათი შემდგომ ეტაპზე გადასვლა და ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებში მათი ასახვა. ნაწილისათვის რეკომენდირებულია დამატებითი ანალიზი შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ხოლო პროექტების ნაწილის დაფინანსებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია მათი ხარჯების პროგნოზებში ასახვა.

ცხრილში N1 მოცემულია ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ჩამონათვალი, რომელებიც შეფასებულია განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მსხვილი კატეგორიის საინვესტიციო-კაპიტალური პროექტები (≥ 20 მლნ ლარის ღირებულების)

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
1	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	226 000 000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი/სსიპ-ის საკუთარი შემოსავლები	24 06 05 01	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
2	თელავის აეროპორტის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	41 900 000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი	24 06 05 04	განიხილა სამუშაო ჯგუფმა; მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის განახლებაზე შემცირებული ღირებულებით. პროექტის დაფინანსება განხორციელდება დიდწილად შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საკუთარი სახსრებით.
3	ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის მოწყობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	39 500 000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი/სსიპ-ის საკუთარი შემოსავლები	24 08 02 02	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
4	მასალების აღმდგენი ობიექტის მოწყობა /თბილისი, ლილოს ნაგავსაყრელი პოლიგონი	ქალაქ თბილისის მერია	73 966 665.0	EBRD	10 38	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
5	თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის პროექტი	ქალაქ თბილისის მერია	56 197 050.0	EBRD	10 39	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
6	სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა	ქალაქ თბილისის მერია	78 405 466.0	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
7	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საოფისე-ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დატა ცენტრი) მშენებლობა	ქალაქ თბილისის მერია	43 999 071.0	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
8	ქ. თბილისში ვერის პარკის რეაბილიტაცია	ქალაქ თბილისის მერია	29 490 645.0	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	03 04 02	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
9	მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ ბათუმისათვის	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	38 225 626.0	KFW	57 14 12	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
10	ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	355 000 000.0	ADB	24 23	პროექტი შემუშავდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) ტექნიკური დახმარების ფარგლებში და მომზადდა პროექტის წინასწარი ანალიზი. მოლაპარაკებები დაიწება 2025 წლის დასაწყისში, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით წინასწარი შერჩევის და შეფასების ეტაპების დასრულების შემდეგ.
11	თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	542 662 800.0	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი	25 02 03 10	განიხილა სამუშაო ჯგუფმა; მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტების საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით.
12	ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB)	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	291 441 200.0	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი	25 02 03 11	განიხილა სამუშაო ჯგუფმა; მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტების საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით.
13	სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბათუმი(ჭოროხი)-სარფის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა (ADB)	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	620 000 000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი	25 02 03 12	განიხილა სამუშაო ჯგუფმა; მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტების საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით.

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმოდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
	სულ ჯამი		2 436 788 523.0			

1. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობა

დასახელება	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობა
წარმოდგენი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
განმახორციელებელი	შპს - საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
მოკლე აღწერა	<p>პროექტი ითვალისწინებს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობას. აღნიშნული პროექტის პირველი ვერსია წარმოდგენილი იყო 2023 წელს, რომლის მიხედვითაც ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობის ღირებულება შეადგენდა საორიენტაციოდ 88.2 მლნ ლარს (მათ შორის, 85.0 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 3,2 მლნ ლარი საკუთარი სახსრებიდან).</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ თავდაპირველი მოცემულობისგან განსხვავებით სამუშაო პროცესში შეიცვალა ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: თავდაპირველად წინა საპროექტო სავარაუდო ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მდებარეობა პროექტირებისას შეიცვალა და საბოლოოდ, მისი ღერძი განისაზღვრა ძველი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ღერძიდან სამხრეთით 320 მეტრის მოშორებით, რამაც გამოიწვია სამიმოსვლო ბილიკების დაგრძელება და ასევე, დამატებითი ახალი სამიმოსვლო ბილიკების დაპროექტების აუცილებლობა (სამიმოსვლო ბილიკების ჯამურმა განსხვავებამ შეადგინა 3 კმ). ადგილმდებარეობის ცვლილება გამოიწვია რამდენიმე ფაქტორმა, როგორცაა ძველი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სამიმოსვლო ბილიკად გადაკეთება, რაც უზრუნველყოფს ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გამტარუნარიანობის ზრდას. ახალი პროექტის თანახმად, შეიცვალა ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ფიზიკური მახასიათებლები. კერძოდ, აეროდრომის D კოდით (მაგ: Boeing 767, Airbus 330 და ა.შ) აღნიშვნის ნაცვლად, ახალი საექსპლუატაციო ნორმა ითვალისწინებს F კოდით (Boeing 747, Boeing 777 და ა.შ.) აღნიშვნას.</p> <p>ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის (აეროპორტების გაერთიანებისთვის) გასაწევი საორიენტაციო ხარჯი ჯამურად შეადგენს 226.0 მლნ ლარს, აქედან პირველი ფაზის სამშენებლო</p>

	სამუშაოები რომლის შესრულებაც იგეგმება 2024-2025 წლებში შეადგენს 170 მლნ ლარს, ხოლო მეორე ფაზა დაიწყება 2026 წელს და მისი ღირებულება 52.5 მლნ ლარი. რაც შეეხება პროექტირების ხარჯს 3.5 მლნ ლარი, მისი დაფინანსება განხორციელდა აეროპორტების გაერთიანების საკუთარი სახსრებით. მიმდინარე მოვლა-პატრონობის ხარჯები გაწეული იქნება აეროპორტების გაერთიანების მიერ.	
ღირებულება	226,000,000 ლ	
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი, საკუთარი სახსრები	
შეფასების პერიოდი	25 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	44,488,370	50,524,521
საშუალო წლიური შემოსავალი	27,675,101	39,254,357
NPV		-241,214,433.8
IRR		#NUM!
ENPV		2,439,201,479.9
EIRR		117.02%
EB/C		5.46

პროექტი სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული იყო ორჯერ 2023 და 2024 წელს. პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 სექტემბრის №1595 განკარგულებით. ამასთან, 2023 წელს განხილული პროექტისგან განსხვავებით, 2024 წელს წარმოდგენილი პროექტის ღირებულება გაიზარდა 88 მლნ ლარიდან 226.0 მლნ ლარამდე აეროპორტის კატეგორიის ცვლილებიდან გამომდინარე (D კატეგორიის ნაცვლად F კატეგორიის მინიჭება). აღნიშნული პროექტი გათვალისწინებულია 2024 წლის ბიუჯეტში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში, ჯამური ღირებულებით 237 მლნ ლარი.

2. თელავის აეროპორტის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა

დასახელება	თელავის აეროპორტის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა
წარმომდგენი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
განმახორციელებელი	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
მოკლე აღწერა	პროექტის ფარგლებში განხორციელდება თელავის აეროპორტში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ახალ ტერმინალს, ახალ ასაფრენ-დასაფრენ ზოლს,

	სამიმოსვლო ბილიკსა და საჰაერო ხომალდების სადგომს. ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე იქნება 1700 მეტრი, სიგანე 30 მეტრი. 70-80 კაციანი ხომალდის მიღების შესაძლებლობა. ტერმინალის გამტარუნარიანობა წლიური 200 000 მგზავრი. ტერმინალის ფართობი 4000 კვ.მ-მდე. მგზავრთა გადაყვანის დაწყება არსებითად დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის შიდა საჰაერო მიმოსვლასა და ტურიზმის განვითარებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად მალე განხორციელდეს აღნიშნული აეროპორტის სრული დატვირთვით ფუნქციონირების დაწყება	
ღირებულება	41,900,000 ლ	
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი, საკუთარი სახსრები	
შეფასების პერიოდი	25 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	69,246	9,213,456
საშუალო წლიური შემოსავალი		551,707
NPV		-67,375,048
IRR		#NUM!
ENPV		-35,195,820
EIRR		0.06%
EB/C		0.69

პროექტი განსახილველად წარედგინა ეკონომიკურ საბჭოს სამუშაო ჯგუფის დაკვნასთან ერთად. ეკონომიკურმა საბჭომ გაიზიარა სამუშაო ჯგუფის უფრო ნაკლები მოცულობის ინვესტიციით თელავის აეროპორტის მშენებლობის პროექტის განხორციელების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 5 მლნ ლარი. მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის განახლებაზე. პროექტის დაფინანსება განხორციელდება დიდწილად შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საკუთარი სახსრებით.

3. ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის მოწყობა

დასახელება	ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის მოწყობა
წარმომდგენი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; ტექნოპარკების დეპარტამენტი

<p>მოკლე აღწერა</p>	<p>პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქუთაისში ყოფილი პარლამენტის შენობაში ტექნოლოგიური ჰაბის მოწყობა. მოეწყობა ეკოსისტემის ხელშემწყობი სხვადასხვა ინოვაციური სივრცეები, მათ შორის ინტერაქციული სამეცნიერო მუზეუმი, სადაც ტექნოლოგიური ჰაბის ვიზიტორებს, ადგილობრივ მოსახლეობას და იმერეთში ჩამოსულ ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ აღმოაჩინონ მეცნიერების, ფიზიკის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები საინტერესო და მარტივად აღქმადი გზით. ასევე, სტარტაპ აქსელერატორი, საერთაშორისო IT სკოლა, საკონფერენციო სივრცე, საერთო სამუშაო სივრცე, ქართული ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის მძლავრი მონაცემთა ცენტრი, ელექტრონიკის, რობოტიკის, დრონების, IoT, STEAM, სამრეწველო ინოვაციების (fablab) და სხვა ექსპერიმენტული ლაბორატორიები, VR/AR Gaming ლაბორატორია, შეხვედრების და სატრენინგო ოთახები სტარტაპებისა და IT სპეციალისტებისთვის.</p> <p>ამასთან, გარდა შენობაში ფუნქციურად უკვე განსაზღვრული სივრცეებისა, დაგეგმილია მე-2-დან მე-7 სართულების ჩათვლით IT კომპანიებისთვის ოფისების გამოყოფა. პირველ ეტაპზე, 2024 წლის თებერვალში ქუთაისის ტექნოლოგიურ ჰაბს, ორგანიზებული საინფორმაციო ტურის ფარგლებში, ეწვია საქართველოში მოქმედი 15-მდე წამყვანი IT კომპანია, მათ შორის, EPAM Georgia, Lineate Georgia, Devexperts, ExactPro, Quantori, Alta Software, HiQo Solutions და სხვა. მათთან ერთად, სხვა IT კომპანიებიც აქტიურად გამოხატავენ ჰაბში საოფისე სივრცეების დაკავების ინტერესს, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე გუნდებისთვის, რომლებიც კვლევით საქმიანობას აწარმოებენ შენობაში დაგეგმილი AI მონაცემთა ცენტრის მეშვეობით. ამისათვის საჭიროა ისეთი კაპიტალური ხარჯების გაწევა, როგორცაა მწყობრიდან გამოსული გათბობა-გაგრილების სისტემისა და საინჟინრო ქსელების რეაბილიტაცია, გარე და შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობა და გარკვეულწილად ტრანსფორმაცია, ინტერაქციული სამეცნიერო მუზეუმის მოწყობა, ხელოვნური ინტელექტის Excellence ცენტრის მოწყობა, ტექნოლოგიური ლაბორატორიების დანადგარების შესყიდვა. შიდა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ჯამში საუბარია 28 ათას მ2 ფართობზე. დაგეგმილია 6000 მ2-ზე მეტი ფართის კომერციული გაქირავების მიზნით გამოყენება საერთაშორისო IT კომპანიებისთვის, რომელთა შემოყვანა მნიშვნელოვან ბენეფიტს მოიტანს რეგიონის შემოსავლებისა და ზოგადად ტექნოლოგიური ლანდშაფტის განვითარებისთვის.</p>
<p>ღირებულება</p>	<p>39,500,000 ლ</p>

დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი/საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები, სსიპ-ების საკუთარი შემოსავლები	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	2,308,458	5,111,644
საშუალო წლიური შემოსავალი		2,818,480
NPV		-38,715,512.6
IRR		-23.04%
ENPV		613,512,420.8
EIRR		44.84%
EB/C		5.93

პროექტი გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის (24 08 02) პროგრამის ასიგნებების ფარგლებში.

4. მასალების აღმდგენი ობიექტის მოწყობა /თბილისი, ლილოს ნაგავსაყრელი პოლიგონი

დასახელება	მასალების აღმდგენი ობიექტის მოწყობა /თბილისი, ლილოს ნაგავსაყრელი პოლიგონი
წარმომდგენი	ქალაქ თბილისის მერია
განმახორციელებელი	შპს თბილსერვის ჯგუფი
მოკლე აღწერა	აღნიშნული ობიექტის მოწყობის შემთხვევაში, მოხდება პოლიგონზე განსათავსებელი ნარჩენის დახარისხება, მასალების სეპარაცია და აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენის შემცირებას, ასევე შესაძლებელია დახარისხებული რეციკლირებადი ნარჩენის გადამუშავება, აღდგენა და რეალიზება. ნაგავსაყრელზე განთავსებული წლიური ნარჩენის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 420,000 ტონას და ყოველწლიურად მატულობს. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა პირველ ეტაპზე დაახლოებით 30-40%-ით შემცირდეს პოლიგონზე განსათავსებელი ნარჩენი და შესაბამისად ნაგავსაყრელის საოპერაციო ხარჯი შემცირდება.
ღირებულება	73,966,665 ლ
დაფინანსების წყარო	EBRD სესხი
შეფასების პერიოდი	20 წელი

ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	11,786,056	16,019,505
საშუალო წლიური შემოსავალი	277,893	7,245,025
NPV		-38,012,938.4
IRR		-2.68%
ENPV		84,642,855.0
EIRR		25.00%
EB/C		2.03

5. თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის პროექტი

დასახელება	თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის პროექტი
წარმომდგენი	ქალაქ თბილისის მერია
განმახორციელებელი	შპს თბილსერვის ჯგუფი

<p style="text-align: center;">მოკლე აღწერა</p>	<p>პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე გაზმემკრები სისტემის მოწყობას და უჯრედების საბოლოო გადახურვას. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ატმოსფეროში გაფრქვეული გაზების/ემისიის შემცირებას. ასევე ორიენტირებულია სხვა მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოსაფხვრელად რაც თავისთავად შეამცირებს ნაგავსაყრელის ოპერირების შედეგად გამოწვეულ გარემოზე მავნე ზემოქმედებას. ემისიების შემცირების და მისი უტილიაზციის შედეგად შესაძლებელი იქნება გამოყოფილი გაზები გარდაიქმნას ელექტროენერგიად, ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის წარმოებას. ინვესტიცია ასევე მოიცავს ნებისმიერ გაუმჯობესებას, რომელიც საჭიროა არსებული უჯრედების დალუქვის (დახურვის) მიზნით, გაზის მაქსიმალური მოპოვების უზრუნველსაყოფად.</p> <p>პროექტის დასრულებამდე, 2048 წელს, დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე მოსალოდნელია 12,954,195 ტ ნარჩენების განთავსება (ნარჩენების დამუშავების პროექტის პირველი ეტაპი გულისხმობს ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებას (სველი ურნა-შერეული ნარჩენი და მშრალი ურნა-გადამუშავებადი (რეციკლირებადი ნარჩენი) + MRF (მექანიკური დამუშავება)/MBT + ნაგავსაყრელი, პროექტის მე-2 ეტაპი მოიცავს ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებას (სველი ურნა-ნარჩენი, მშრალი ურნა-გადამუშავებადი ნარჩენი და ბიონარჩენები) + MRF + MBT + კომპოსტირება + ნაგავსაყრელი), რაც შეესაბამება 14,468,071 მ3 მოცულობის ნარჩენს (21,980,001 მ3-ის ნაცვლად). 14,468,071 მ3 ნარჩენს მივიღებთ იმ შემთხვევაში თუ შეიცვლება ამჟამინდელი ნარჩენის შეგროვების გზა, რაც ასევე დაზოგავს ნაგავსაყრელის მოცულობის 35%-ს.</p>	
<p>ღირებულება</p>	<p>56,197,050 ლ</p>	
<p>დაფინანსების წყარო</p>	<p>EBRD</p>	
<p>შეფასების პერიოდი</p>	<p>25 წელი</p>	
<p>ალტერნატივები</p>	<p>არაფრის კეთება</p>	<p>პროექტი</p>
<p>საშუალო წლიური ხარჯი</p>	<p>12,653,542</p>	<p>15,816,413</p>
<p>საშუალო წლიური შემოსავალი</p>	<p>285,234</p>	<p>10,812,498</p>
<p>NPV</p>	<p>21,322,682.3</p>	
<p>IRR</p>	<p>13.64%</p>	
<p>ENPV</p>	<p>475,152,971.3</p>	
<p>EIRR</p>	<p>71.03%</p>	
<p>EB/C</p>	<p>3.95</p>	

6. სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა

დასახელება	სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა	
წარმომდგენი	ქალაქ თბილისის მერია	
განმახორციელებელი	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური	
მოკლე აღწერა	<p>პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება ხიდი ქალაქ თბილისში, რომელიც დააკავშირებს სადგურის მოედანს დადიანის ქუჩასთან და იქნება 280 მეტრი სიგრძის, 8.5 მეტრი სიგანის სწორ მონაკვეთში, ხოლო 15 მეტრი სიგანის მოხვევის მონაკვეთში (ე.წ. სპირალი, რომელიც ეშვება სადგურის მოედანზე). ხიდი იქნება ორზოლიანი და დასავლეთით, სადგურის მოედანზე დაშვებისას, რამპას ექნება მარჯვნივ ჩამხვევი ზოლი. რკინიგზის დერეფნის კვეთისას აუცილებელია 7 მეტრიანი სხვაობა რკინიგზის ლიანდაგსა და ხიდის სტრუქტურას შორის. ხიდი ითვალისწინებს 18 მეტრიანი ავტობუსების მართვის ტრაექტორიებს, მისი მაქსიმალური გრძივი ქანობია 10.7%, ხოლო მინიმალური რადიუსი 12 მეტრი.</p> <p>ხიდის გამტარობა შერეული ნაკადების პირობაში იქნება 800 ავტომობილი ერთ საათში ერთი მიმართულებით.</p> <p>ხიდის დასავლეთ სექციას, სადგურის მოედანთან დაერთების მონაკვეთში, აქვს მარჯვნივ ჩამხვევი ზოლი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტს საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის არაპიკურ საათებში. შერჩეულ პროექტს აქვს მაღალი საფეხმავლო მისაწვდომობა - 23,155 ადამიანი 15 წუთის რადიუსში, რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ტრანსპორტის გაუმჯობესებული სერვისებითა და სადგურის მოედნის ჰაბით სარგებლობას.</p>	
ღირებულება	78,405,466 ლ	
დაფინანსების წყარო	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით/ქალაქ თბილისის მერიის ბიუჯეტი	
შეფასების პერიოდი	30 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	139,685	1,722,622
NPV		-84,099,051.01
IRR		-11.73%
ENPV		148,055,03.92
EIRR		25.29%
EB/C		3.05

7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საოფისე-ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დატა ცენტრი) მშენებლობა

დასახელება	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საოფისე-ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დატა ცენტრი) მშენებლობა	
წარმომდგენი	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	
განმახორციელებელი	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია	
მოკლე აღწერა	<p>საოფისე შენობა შედგება 5 მიწის ზედა სართულისაგან და ერთი მიწისქვედა. შენობა ითვალისწინებს 2 კიბის უჯრედს და 2 ლიფტს. საპროექტო ტერიტორიის ფართი - (7310 კვ/მ) მოშენების ფართი - 2813,50 კვ/მ, სამშენებლო მოცულობა - 38025,90 კუბ/მ, საერთო ფართი - 11 521 კვ/მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე -22,90 მ.</p> <p>აღნიშნული ფართი იძლევა საშუალებას მერიის რამდენიმე სამსახურის და მონაცემთა დამუშავების ცენტრის (დამხმარე ნაგებობების ჩათვლით) განთავსებას. ადმინისტრაციული შენობა წარმოდაგენს საოფისე სივრცეს, სადაც განთავსებული იქნება ძირითადად 4 უწყება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ააიპ თბილისის განვითარების ფონდი, • ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, • ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების საქალაქო სამსახური, • ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია. <p>პერსონალის რაოდენობა - არანაკლებ 750 პირი (იგულისხმება საოფისე ფართში განთავსებული თანამშრომლების რაოდენობა. შტატით თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 1500-ს, რომელთა ნაწილი განლაგებულია ქალაქ თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე. პარკინგი გათვლილი იქნება 105 მანქანაზე, მათ შორის: მიწისქვეშა ავტოსადგომზე განთავსდება მსუბუქი ავტომობილები და მიკრო ავტობუსები.</p> <p>დამატებით, ცალკე მდგომ შენობაში განთავსებული იქნება მონაცემთა დამუშავების ცენტრი (დატა ცენტრი). არანაკლებ 225 კვ/მ, ღია ფართი არანაკლებ 1500 კვ/მ. სადაც განთავსდება მონაცემთა ცენტრის გარე აგრეგატები (სატრანსფორმატორები, საგენერატორები და ა.შ).</p>	
ღირებულება	43,999,071 ლ	
დაფინანსების წყარო	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი

საშუალო წლიური ხარჯი	95,257,335	94,854,791
NPV		-24,204,438.34 ლ
IRR		0.13%

8. ქ.თბილისში ვერის პარკის რეაბილიტაცია

დასახელება	ქ. თბილისში, ვერის პარკის რეაბილიტაცია
წარმომდგენი	ქალაქ თბილისის მერია
განმახორციელებელი	ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური
მოკლე აღწერა	<p>ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ვერის ისტორიულ პარკს, გააჩნია როგორც საუბნო, ისე საქალაქო მნიშვნელობა. თავისი ფუნქციური დანიშნულებით ის გათვლილია ნებისმიერი ასაკის ადამიანზე. პარკის მთლიანი ტერიტორია შეადგენს - 39392 კვ.მ-ს , ტერიტორიაზე მოეწყობა და აღდგება მრავალი სივრცე, რომელიც მოიზიდავს უფრო მეტ ადამიანს პარკში ,მათ შორის: ძაღლების სავარჯიშო მოედანი (1380 კვ.მ), ბავშვების სათამაშო მოედანი (2165 კვ.მ) , სპორტული ზონა (2314კვ.მ), მინი-ფეხბურთის სტადიონი (1075კვ.მ), საპიკნიკე სივრცე (500კვ.მ), შადრევანი (540კვ.მ), საფეხმავლო ბილიკები და გადმოსახედი (540 კვ.მ).</p> <p>მნიშვნელოვანია პარკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული ელემენტების გამართვა, რადგან არსებული მდგომარეობით პარკს არ გააჩნია სანიაღვრე სისტემა, მოძველებულია სარწყავი სისტემა, უსისტემოდ არის განაწილებული მიწისზედა გაზ-მომარაგებისა და წყალ-მომარაგების მილები, მოძველებული და გაუმართავი განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები კი ართულებს პარკის მომხმარებელთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. შესაბამისად რეაბილიტირებულ პარკში სრულიად განახლდება თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სისტემა, პარკს დაემატება სანიაღვრე, ხოლო უსისტემო გაყვანილობა შეიცვლება და გრუნტში დაიმალება.</p> <p>ცალკე აღნიშვნის ღირსია პარკის მრავალწლოვანი ხე-ნარგავების შენარჩუნებისა და ახალი გამწვანებული სივრცეების გაჩენის აუცილებლობა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი დენდროლოგიური პროექტის შედგენის დროს. პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე დაირგვება 426 დიდტანოვანი ხე და 5000 ბუჩქი. ასევე, 20 000 კვადრატულ მეტრზე მოხდება მწვანე საფარის მოწყობა.</p> <p>განახლებული პარკი და მისი თითოეული ობიექტი მისაწვდომი იქნება პარკის ნებისმიერი სტუმრისათვის და პარკი სრულიად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების (ADA) მოთხოვნებს.</p>

	ვერის პარკის რეაბილიტაციის შემდეგ, თბილისს შეემატება გამართულად ფუნქციონირებადი, უმაღლესი ხარისხის ფურნიტურითა და საინჟინრო სისტემები აღჭურვილი, თანამედროვე მოსასვენებელი და გასართობი სივრცე, რომელიც მორგებული იქნება განსხვავებული ინტერესებისა და ასაკის მქონე ნებისმიერ ადამიანზე	
ღირებულება	29,490,645 ლ	
დაფინანსების წყარო	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	661,836	550,058
NPV		-23,710,919.8
IRR		#NUM!
ENPV		-13,940,325.8
EIRR		-5.28%
EB/C		0.31

9. მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ ბათუმისათვის

დასახელება	მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ ბათუმისათვის
წარმომდგენი	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
განმახორციელებელი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური
მოკლე აღწერა	<p>ქ.ბათუმში მოეწეება ერთიანი ჰკვიანი სატრანსპორტო სისტემები (ITS), რაც ხელს შეუწყობს ქალაქის სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის დანიშნულების ადგილამდე სწრაფ და კომფორტულ გადაადგილებას, ჰაერის და ხმაურით დაბინძურების, სათბური აირების გამოყოფისა და ენერჯის მოხმარების შემცირებას, ქალაქში ცხოვრების პირობებისა და ქალაქის დაგეგმარების მიმზიდველობისა და ხარისხის ამაღლებას ქალაქის მაცხოვრებლების, ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების სასარგებლოდ.</p> <p>ITS სისტემაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ქვესისტემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ურბანული მოძრაობის კონტროლის ქვესისტემა (UTC); • ცვლადი შეტყობინების ნიშნების ქვესისტემა (VMS); • CCTV ქვესისტემა; • ფეხით გადაადგილების ზონების ქვესისტემა (CFZ); • საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის ქვესისტემა (PTMS);

	<ul style="list-style-type: none"> • ტელეკომუნიკაციების ქვესისტემა; • ბათუმის მართვის ცენტრი (BOCC); ასევე, მოხდება არსებული შუქნიშნების განახლება-შეცვლა, ახალ წერტილებზე შუქნიშნების მოწყობა.	
ღირებულება	38,225,626 ლ	
დაფინანსების წყარო	KFW სესხი	
შეფასების პერიოდი	13 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	2,294,563	3,297,419
NPV		-37,802,650.7
IRR		#NUM!
ENPV		59,784,152.9
EIRR		34.68%
EB/C		2.82

პროექტი გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში.

10. ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB)

პროექტის ინიციატორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. პროექტი შემუშავდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) ტექნიკური დახმარების ფარგლებში და მომზადდა პროექტის წინასწარი ანალიზი. მოლაპარაკებები დაიწყო 2025 წლის დასაწყისში, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით წინასწარი შერჩევის და შეფასების ეტაპების დასრულების შემდეგ.

პროექტი გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

11. თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)

პროექტის ინიციატორია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. სამუშაო ჯგუფმა განიხილა ინიციატორის მიერ წარმოდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტები, მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-

სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტების საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით. პროექტი გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

12. ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB)

პროექტის ინიციატორია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. სამუშაო ჯგუფმა განიხილა ინიციატორის მიერ წარმოდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტები, მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტების საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით. პროექტი გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

13. სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბათუმი(ჭოროხი)-სარფის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა (ADB)

პროექტის ინიციატორია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. სამუშაო ჯგუფმა განიხილა ინიციატორის მიერ წარმოდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტები, მიმდინარეობს მუშაობა პროექტის კონცეფციის ბარათის და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტების საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით. პროექტი გათვალისწინებულია 2025 წლის ბიუჯეტში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში.

საშუალო კატეგორიის საინვესტიციო-კაპიტალური პროექტები (20 მლნ ლარამდე ღირებულების)

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მილიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
1	ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და პ. ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის (გვირაბული მეთოდი) მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	ქალაქ თბილისის მერია	16 276 004.0	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
2	ა(ა)იპ თბილისის N50-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა	ქალაქ თბილისის მერია	7 221 070.0	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
3	ა(ა)იპ თბილისის N28-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა	ქალაქ თბილისის მერია	10 091 334.0	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
4	ა(ა)იპ თბილისის N43-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა	ქალაქ თბილისის მერია	7 869 263.0	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
5	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და სსიპ-შემოსავლების სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ქვედანაყოფების ადმინისტრაციული ოფისის მშენებლობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	6 599 000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
